პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
4 იანვარი,
1956 წელი
№ 1 (312)
ფასი 10 კაპ.
ბათომში — 30-ით ნაკლები

ერთიანი ბიბლიოთეკა

ახალი წლის დღეებში დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში დადგმულ იქნა გემოვნებით გაფორმებული ნაძვის ხეები.
სურათზე: ნაძვის ხე ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ახალი წლის შეხვედრა კრემლში

31 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლში მოაწყო ახალი წლის შეხვედრა.

კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები: კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი.

სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის მარშლები კ. კ. როკოსოვსკი, ი. ს. კონევი, ა. მ. ვასილევსკი, ა. ა. გრეჩკო, გ. კ. ჟუკოვი, ი. ს. კონევი, კ. ა. მერეცკოვი, კ. ს. მოსკალენკო, ვ. დ. სოკოლოვსკი, ს. კ. ტიმოშენკო და სხვა გამოჩენილი საბჭოთა სამხედრო მხედართმთავრები.

ახალი წლის შეხვედრაზე იყვნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მსახიობები, არქიტექტორები.

ახალ წელს კრემლში შეხვდნენ აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის მხარეებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები. სტუმრებს შორის იყვნენ წარმოების ნოვატორები — ხარატი პ. ბ. ბიკოვი, მრანდავი ა. ს. ავრენტიევი, მემანქანე ვ. გ. ბლაქენოვი, ფეიქარი ოსტატი ა. ს. ჩუტკიხი, მრთველი ს. ა. კოტოვა.

ახალი წლის შეხვედრაზე იყვნენ მოსკოვში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მქუხარე ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვას. წარმოთქვეს სადღეგრძელო დიადი საბჭოთა ხალხისა, რომელიც დარაზმულია და რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ქვეყნის შემდგომი აყვავების, სოციალიზმისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის ხალხებთან სსრ კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი მეგობრობის, ყველა ხალხს შორის მეგობრობის, საყოველთაო მშვიდობის სადღეგრძელოები.

* * *

ახალი წლის ღამეს კრემლში გაიმართა დიდი საღამოსადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატებმა. (საკდესი).

დაძაბული შრომა ახალი წლის პირველ დღეებიდანვე

დაიწყო 1956 წელი. იგი საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მიმდინარე წელს ჩატარდება ორი გრანდიოზული ღონისძიება — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და მელბურნის ოლიმპიური თამაშები. ამიტომ 1956 წელს ერთიორად უნდა ვამრავლოთ სპორტულ გამარჯვებათა თარიღები, გადამწყვეტი იერიში მივიტანოთ მსოფლიოს სპორტულ მწვერვალებზე, დავიპყროთ ისინი. ამას მოითხოვს დედასამშობლო ჩვენგან — თვითეული სპორტსმენისაგან.

„შევდივართ რა ახალ, 1956 წელში, ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო მიღწევებზე, არამედ აგრეთვე ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაზე, კომუნისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე, ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა საბჭოთა ადამიანს ამრავლოს თავისი ღონისძიებანი“... — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვაში.

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის დაძაბული მუშაობა 1956 წლის პირველი დღეებიდანვე უნდა დავიწყოთ. რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა და ქალაქმა ისახელა თავი — სამშობლოს მოუმზადა მრავალი ნიშნოსანი, თანრიგოსანი, ბევრი კი ამ მნიშვნელოვან საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩა, ჩამორჩა და მერე რატომ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადოდ ვერ გაანაწილა ძალები, წლის დასაწყისში საღათას ძილით ეძინა, ზოგს სამუშაო გეგმაც კი არ ჰქონდა და შემდეგ, როდესაც წელიწადი მიიწურა, დატრიალდა, ფარატინა ქაღალდები ფიქტიური ნიშნოსნების გვარებით ააჭრელა.

ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ჩვენი მუშაობის საფუძველია, ამიტომ მთელი ძალები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება მთლიანად უნდა გამოვიყენოთ, არ დავაყოვნოთ საკუთარი კალენდრის შედგენა, არ დავაყოვნოთ მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებაც.

მუშაობა პირველ დღეებიდანვე უნდა გავშალოთ სპორტსმენთა შორის იდეურ-პოლიტიკური დონისა და შეკიბრებათა კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. აბა გადავხედოთ გასულ წელს. რამდენჯერ აღშფოთებულა მაყურებელი სპორტსმენთა უხეში საქციელის გამო. რამდენჯერ გაწითლებულან მწვრთნელები სირცხვილისაგან, როდესაც უნახავთ თავისი აღზრდილის უხეში გამოხდომები? სამწუხაროდ, ბევრჯერ. ყოველივე ზემოაღნიშნულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის რესპუბლიკური თასის ფინალში, თავისუფალი მოჭიდავე ბ. თედეევი უკვე მეორეჯერ არღვევს სპორტულ ეთიკას და მერე სად? საკავშირო შეკიბრებაზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის ბედი წყდება. საჭიროა თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკურმა სექციამ ძირფესვიანად შეისწავლოს ეს საკითხი და თედეევს სახტიკი პასუხი მოითხოვოს.

როდესაც შეკიბრების ორგანიზაციის კულტურაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მასზე დიდადაა დამოკიდებული ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციის, მისი შემდგომი აღორძინების საქმე. მაგრამ კულტურულობა რომ მოითხოვო მსაჯს, სპორტსმენს, მწვრთნელს, საჭიროა ჯერ ასწავლო მას. ე. ი. ჩაუნერგო ობიექტურობის, საკუთარი კოლექტივის სიყვარულის, მაყურებლის პატივისცემის გრძნობა. სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აღზრდაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია სემინარების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი მოკლევადიანი კურსების მოწყობას. ამიტომ ახლავე უნდა ვიზრუნოთ სემინარების ჩატარებაზე, თორემ, როცა სპორტული ზაფხული თავის უფლებაში შევა, გვიან იქნება.

სპორტსმენო!
დაიწყო უდიდეს ღონისძიებათა წელი—
საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და ოლიმპიური თამაშების ჩატარების წელი.
გახსოვდეს!
ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა და წარმავებების მოპოვება შენი საპატიო ამოცანაა.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე კიდევ ერთი სერიოზული ამოცანაა დასახული: გამოავლინონ ნიჭიერი სპორტსმენები. რა გაკეთდა ამ მიმართებით გასულ წელს? ძალზე ცოტა. ორ წელსაც ასეთი ტემპით ვიმუშავებთ, მაშინ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. საჭიროა გამოვიჩინოთ საქმისადმი მეტი სიყვარული. ალღო. ვეძებოთ დაუღალავად, სისტემატურად. მხოლოდ ამ გზით შევქმნით საჭირო რეზერვს და შევავსებთ რესპუბლიკის ნაკლებ გუნდებს.

წელს ტარდება საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები. აქ შეჯამდება მთელი ჩვენი მუშაობა, საქმიანობა, აქ გამოირკვევა, თუ ვინ როგორ წარმართა მუშაობა, ვინ შეძლო ძალთა მობილიზება, აქტივის დარაზმვა მაღალი კლასის სპორტსმენთა გამოვლენა-მომზადება. სპარტაკიადები (ყველა ეტაპზე) კიდევ უფრო გაუკაფავს გზას საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას.

ახლა სპორტის თითქმის ყველა სახეობაში მეცადინეობენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ბევრგან შეკრება ნაყოფიერად ტარდება, შესამჩნევად გაიზარდა სპორტსმენთა ტექნიკური მომზადება. მაგრამ, როგორც ირკვევა, ველოსიპედისტებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ სპარტაკიადისწინა შეკრების მაღალ დონეზე ჩატარების მნიშვნელობა. ზოგიერთი მათგანი ყოყოჩობს, გასულ წელს მოპოვებულმა წარმატებებმა თავბრუდაესხვიეს. ასეთ შემთხვევებს შეკრებათა მიმდინარეობის დროს სხვაგანაც წავაწყდებით ჩვენი ვალია დაუნდობლად ვებრძოლოთ, გახურებული შანთით ამოვკვეთოთ ბურუჟუაზიული გადმონაშთების ყოველგვარი გამოვლენა ჩვენს რიგებში.

დაიწყო 1956 წელი დაიწყო და ჩვენც მისი პირველი დღეებიდანვე უნდა დავიწყოთ დაძაბული შრომა საერთო-სახალხო საქმის—ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჰასტინგსის ჟურნირი

ახალი წლის წინა დღით ჰასტინგსში მოეწყო ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრების ზეიმი გაიხსნა. უძლიერესთა ტურნირში მონაწილეობენ გროსმაისტერები ტაიმანოვი (საბჭოთა კავშირი), ივკოვი (იუგოსლავია), ოსტატები: კორჩნოი (საბჭოთა კავშირი), პერსიცი (ისრაელი), ოლ-ფსონი (ისლანდია). დარგა (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა), კორალი (ესპანეთი), ფულერი, პენროუზი, გოლომბეკი (სამივე ინგლისიდან).

ტურნირის გახსნაზე მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის ელჩი ინგლისში ა. მალიკი. საბჭოთა ელჩმა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს გადასცა სპეციალური პრიზი შეჯიბრებაში გათამაშებული საუკეთესო პარტიის დასაჯილდოებლად.

ახალგაზრდა საჭადრაკო კომპოზიტორების შემოქმედებითი ზრდა

ჩვენს რესპუბლიკაში საჭადრაკო კომპოზიცია ჭადრაკის მოყვარულთა ფართო მასების დიდი სიყვარულით სარგებლობს. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გახდა საჭადრაკო კომპოზიციის პოპულარობა.

ცნობილ და ახალბედა კომპოზიტორთა მონაწილეობით აღინიშნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ გასულ წელს გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსი საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. კონკურსზე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან 27 კომპოზიტორმა 70 ნაწარმოები გამოაგზავნა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილეთა უმრავლესობა რაიონებიდანაა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ორსვლიანების განყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ მასში არ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მოწინავე პრობლემისტები ო. ტაბიძე (თელავი) და ი. შოსტი (ცხაკაია).

კონკურსის შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოვლინდა მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი, რომლებიც უახლოეს მომავალში შეძლებენ საკავშირო ასპარეზზე წარმატებით გამოსვლას. მაგრამ ამ სახიბარული ფაქტებთან ერთად უნდა აღინიშნოს მრავალი ნაკლიც.

ჩვენი კომპოზიტორთა უმრავლესობა სუსტად იცნობს საამოცანო თემატიკის და კომპოზიციის ძირითად პრინციპებს, მუშაობს მოძველებულ, საკმაოდ ამოწურულ თემაზე, დიდია დეფექტიან ნაწარმოებთა რიცხვი და სხვა. ყველა ეს ნაკლოვანება ძირითადად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჭართულ ენაზე დღემდე არ გვაქვს საჭადრაკო კომპოზიციის ელემენტარული სახელმძღვანელოც კი.

ორსვლიანი ამოცანები

I ჯილდო

№ 1 შ. ფრუიძე (თბილისი)



a b c d e f g h

შამათი ორ სვლაში

თბილისელი ახალგაზრდა კომპოზიტორის შ. ფრუიძის პირველი ჯილდოთი აღნიშნული ამოცანის ზღვრულად გამოკვეთილ ფორმაში განხორციელებულია ორიგინალური ჩ. ნიფიქრი: გადაკეტვები დამაშამათებელი ფიგურის მოძრაობის ხაზებზე, თემატიკური მცდარი კვლები. ამოცანის როგორც შესავალი, ისე თემატიკური მცდარი კვლები იქმნება ერთი და იგივე თეთრი ფიგურით. ამოცანის დამატებითი თამაში შეიცავს ორ უმარტივეს ვარიანტს კუს მიერ გაწოკცხადებულ შამათით. ამის მიუხედავად, დამატებითი მცდარი კვლების დახმარებით იგი შნიშვნელოვნად ზრდის ამოცანის შინაარსს.

II ჯილდო

№ 2. ვ. კალანდაძე (თბილისი)

a b c d e g h

შამათი ორ სვლაში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მე...3 კურსის სტუდენტ ვ. კალანდაძეს მონაწილეობა კონკურსში დიდი წარმატებით აღინიშნა. ვ. კალანდაძე კარგად ფლობს ამოცანისა და ეტიუდის შედგენის ტექნიკას და მაღალი მხატვრული გემოვნება აქვს. დაჯილდოებულ ამოცანაში ახალგაზრდა კომპოზიტორმა ცუგცვანგის მოძველებულ თემაში მოხახა საინტერესო ორიგინალური მექანიზმი. თეთრი მეფის შამათები გადაკეტვებით მოულოდნელია და მომხიბლავიც. მოსაწონია ამოცანის შესავალი სვლა და მისი ფორმა.

III ჯილდო

№ 3. ლ. ჩიქოვანი (თბილისი)

სტალინის სახ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ლ. ჩიქობავას ორსვლიანი ამოცანა იმეორებს ცნობილ სარეკორდო მიღწევას — თავისუფალი უჯრის ხუთჯერად ბლოკირებას. პირველი ოთხი ვარიანტი ავტორმა გაართულა გადაკეტვებით, რაც აღნიშნულ თემაში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. კარგია აგრეთვე თემატიკური შესავალი სვლა. სწორედ ამოცანის ამ დადებითი ოკისებების გამო იგი მესამე ჯილდოთი აღინიშნა. ამ ამოცანის ნაკლია მისი მძიმე ფორმა და მეხუთე თემატიკური ვარიანტში ლაზიერის უხეში გაცოცხლება.



a b c d e f g h

შამათი ორ სვლაში

I საპატიო შეფასება

№ 4. მ. იმნაძე (თბილისი)

თეთრები: მფh1, ლg7, ეc1, ეh6, ჯa4, კb4, მa3, მe8 პ-ბი: a5, b6, d3, (11).

შავები: მფd5, ლb8, კg8, კh2, მb3, მc4 პ-ბი: e6, f5 (8)

შამათი ორ სვლაში

ცნობილმა კომპოზიტორმა განახორციელა უჯრის ოთხჯერადი ბლოკირება, რომელთაგან ორი გართულებულია თეთრი ფიგურების ჩართვით. მოსაწონია ამ ამოცანის შესავალი.

II საპატიო შეფასება

№5. რ. მინდაძე (ცაგერის რაიონი)

თეთრები: მფb6, ლh7, ეd4, კc1 კg8, მf5 პ. f2 (7)

შავები: მფe5, ეd2, მc2, პ-ბი: f6, h4 (5)

შამათი ორ სვლაში

ამ ამოცანაში ნიჭიერმა ნორჩმა კომპოზიტორმა დამატებითი დაცვის ცნობილ მექანიზმს (ჩართვის იდეის გამოყენებით) ორიგინალური სახე მისცა. აღსანიშნავია კარგი დამატებითი ვარიანტი ჩართვით, თემატიკური მცდარი კვლით, ძნელი შესავალი და ეკონომიური ფორმა.

III საპატიო შეფასება

№ 6. ბ. კოკრძახია (აბაშა)

თეთრები: მფh1, ლf8, კb7, კb5' მe1, მf1 პ-ბი: c4, c6, e2, e3, g4 (11)

შავები: მფe4, ეb3, ეe7, კg5, მa7, მd2 პ. f7 (7)

შამათი ორ სვლაში

აბაშელმა კომპოზიტორმა თემატიკური ვარიანტების პირველ წყვილში წარმოგვიდგინა გრიმშოუს გადაკეტვა პაიკისა და კუს მონაწილეობით, მეორე წყვილში — დამატებითი დაცვის იდეა ბლოკირებით. ამოცანის ნაკლია აშკარა და უფერული შესავალი სვლა.

I საქები შეფასება

№ 7 მ. იმნაძე (თბილისი)

თეთრები: მფh6, ლb3, ეf1, კa1, მf2 პ-ბი: e4, g5 (7)

შავები: მფf4. ლg2, კh2 პ-ბი: g4, h3 (5)

შამათი ორ სვლაში

მომხიბლავია ამ ამოცანის ფორმა, კარგადაა განხორციელებული შავი ლაზიერის მიერ საკუთარი მეფის სამჯერადი ბლოკირება. ამოცანის ერთადერთ ნაკლს წარმოადგენს ჩუსტი შესავალი.

II საქები შეფასება

№8. შ. სუხიტაშვილი

(თელავის რაიონი)

თეთრები: მფh7, ლa2, ეe1, ეh2, კg1, მd2, მg6 პ. f3 (8)

შავები: მფd3, ლd1, ეe6, კa8, კb8, პ-ბი: c3, e7, h5 (8)

შამათი ორ სვლაში

ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი ნაყოფიერად მუშაობს საჭადრაკო კომპოზიციის დარგში. მაღალი შეფასებით აღნიშნული ამოცანის შინაარსი შედგება ოთხი გადაკეტვისა და ერთი ბლოკირებისაგან.

III საქები შეფასება

№ 9. ჰ. ჯავახია (რუსთავი)

თეთრები: მფხ5, ლg5, ეh4, კa3 კc6, მf7 პ-ბი: e2, g2 (8)

შავები: მფd4, კf5, მd7 პ-ბი: c3 d2, e4 (6)

შამათი ორ სვლაში

თბილისელმა მხატვრმა კომპოზიტორმა თავის ამოცანაში მოგვცა დაბმის, ბლოკირებასა და ჩართვის იდეები თითო ვარიანტში კარგი შესავალი სვლით.

სამსვლიანი ამოცანები

I—II ჯილდო

№ 10. რ. თავარიანი

(ბორჯომის რაიონი)



a b c d e f g h

შამათი სამ სვლაში

ამ ამოცანის ავტორი ცნობილია ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც ნიჭიერი კომპოზიტორი. მისი არაერთი ამოცანა გამოქვეყნებულა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრში". პრიზით აღნიშნული ამოცანა ლოგიკური მიმართულებისაა და შეიცავს თემატიკურ მცდარ კვალს. ამოცანა სრულყოფილია, მაგრამ არ არის ორიგინალური.

№ 11. შ. ფრუიძე (თბილისი)



a b c d e f g h

შამათი სამ სვლაში

ამ შესანიშნავი ამოცანის თემაა გადაკეტვები დამაშამათებელი ფიგურის მოძრაობის ხაზებზე, რომელიც ავტორმა პირველმა განახორციელა სამსვლიან ამოცანაში. ნაწარმოებს ამშვენებს კარგი შესავალი თამაში და ფორმის ეკონომიურობა.

III ჯილდო

№ 12. რ. ჭინდაძე (ცაგერის რაიონი)

თეთრები: მფხ5, ლa4, მხ3, მd2 კ. e3 (5)

შავები: მფხ2, ეd1 პ-ბ: c2. c5 (4).

შამათი სამ სვლაში

ნორჩმა კომპოზიტორმა მომხიბლავი ფორმისა და შინაარსის ნაწარმოები შექმნა. შთაბეჭდილების მომხდენია სუფთა შამათი ყველა ვარიანტში.

საქები შეფასება

№ 13. ჯ. მახათაძე (ზესტაფონი)

თეთრები: მფg6, ლg2. md5 პ-ბი: c6, f6 (5)

შავები: მფe8, ეb4, კh8 პ-ბი: e7, g4 (5)

შამათი სამ სვლაში

ახალგაზრდა კომპოზიტორის ამოცანაში კარგია ლაზიერის მანევრი პირველ და მეორე სვლაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით ამოიწურება ამოცანის მთელი შინაარსი.

ეტიუდები

I ჯილდო

№ 14. ვ. კალანდაძე (თბილისი)

ოშვიათი გემოვნებით და მაღალი ოსტატობით დამუშავებული ეტიუდია. ეს ნაწარმოები ახალგაზრდა კომპოზიტორის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა. ეტიუდში მესამე სვლა



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

ზე თამაში განშტოვდება ორ ვარიანტად. ორივე მათგანი მთავრდება სუფთა პატით. შავების ერთი და იგივე ფიგურების მონაწილეობა

a b c d e f g

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

ამ ეტიუდის ავტორმა პრ... საზოგადოებრიობის ყურადღებ... იქცია ვაზეთ „ახალგაზრდა კომ... ტის" 1955 წლის საკავშირო ტ... კურსზე, რომელშიც მან დაიკავ... მესამე საპატიო შეფასება. მისი... ლი ეტიუდი გვიჩვენებს, რომ... განაგრძობს შემოქმედებით ზრდ...

საინტერესო თამაშში, რომელ... განსაკუთრებით ლამაზია თეთრ... მესამე სვლა, იქმნება ორიგინალ... პოზიციური ყაიმი: თეთრების კ... ეტიუდ ფუძნიად ესხმის თავს ბ... კადაში მომწყვდეულ შავ ლაზი... ეტიუდის ძირითად ღირსებას წ... მოადგენს ლაზიერის თავისუფ... საწყისი მდგომარეობა.

საქები შეფასებები

№ 16. ბ. ნადარეიშვილი

(თბილისი)

თეთრები: მფc7, ეh3, კb1, მa4 შავები: მფa1, კe6, პ-ბი: a2, a3, c6 (6)

თეთრები იწყებენ და იგებენ

ცნობილმა ქართველმა ეტიუდ... მა კონკურსზე გამოგზავნა მისი შეუფერებელი სუსტი ნაწარმო... ეტიუდის შინაარსი ძირითად... მდგომარეობს მხოლოდ თეთრი ფის მოძრაობაში საპატო პოზი... დარღვევისათვის.

№ 17. ვ. კალანდაძე (თბილ...

თეთრები: მფc5, ეg7, პ. g2 (3...

შავები: მფe6, კh1, პ-ბი: a6, f2 (5)

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

ეტიუდის ფინალი არ არის ა... მავრამ მოსაწონია თეთრი ე... მანევრი მე-4, მე-5 და მე-6 სვ... ზე.

თ. გიორგაძ...

რესპუბლიკური კონკურსის ... ვარი მსაჯი.

ი. კრიხელ...

მსაჯ...

ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა

№ 1. მg1! ო 2. ეh3×. 1. ... d6 2. ლg3×, 1. ... d5 2. ლ:g5×; 1. ... d3 2. კf2×, 1. ... g4 2. კd8×

1. მf4? d6!, 1. მ:g5? d5!; 1. მf2? d3!, 1. ლe8? g4!, 1. ლf6 h5!

№ 2. ლb7! ცუგცვანგი. 1. ... ეc4 2. მფb5×!, 1. ... კd6 2. მფd7×!; 1. ... ეd4 2. მc3×

№ 3. 1. მc4 ო 2. ეc8×. 1. ... მ:c4 2. ე:b5×, 1. ... ე:c4 2. ე:d5×, 1. ... კ:c4. 2. b4×, 1. ... bc 2. კb4×, 1. ... ლ:c4 2. ef×

№ 4. 1. მb5 ო 2. მc3×. 1. ... კe5 2. ლg2×, 1. ... ლe5 2. ლb7× 1. ... e5 2. ლ:g8×, 1. ,.. მe5 2, მf6×.

№ 5. 1. მg3 ო 2. ლe4×. 1. ... ე:d4 2. ლe7×, 1. .. მ:d4 2. ლc7× 1. ... ეe2 2. ეd5×. 1. მd6? მ:d4!

№ 6. 1. ლg7 ო 2. ლd4×. 1. ... f6 2. ლ:e7×, 1. ... კf6 2. ლh7×, 1. ... კ:e3 2. მg3×, 1. ... ე:e3 2 მ:d2×; 1. ... მb5 2. e7×.

№ 7. 1. კd4 ო 2. ლe3×, 1. ... ლg3 2. ლf7×, 1. ... ლf3 2. ლb8×, 1. .. ლ:e4 2. მ:h3×.

№ 8. 1. მe4 ო 2. მc5×. 1. ... ეc6 2. ლd5×, 1. .. კd6 2. ლa6×, 1. ... ეe5 2. მf4×, 1. ... c2 2. ლb3×, 1. ... კ:e4 2. ე:d1×.

№ 9. 1. მe5 ო 2. მf3×. 1. ... მფ:e5 2. ე:e4×, 1. ... მ:e5 2. კc5×, 1. ... კg4 2. e3×.

№ 10. 1. მg3 მუქარით 2. ლh8 და 3. კc5×. 1. ... მ:g3 2. ლh8 ეh1 3. კh6×. 1. ... ეf2 2. ლh8 ეc2+ 3. კc5×. 1. ... ეf2 2. ლh8 ეd2 3. კd6×. თუ 1. მg7? მg3 2. ლh8 ეh1!

№ 11. 1. ეc1! მუქარით ეb7+ და ეa1×. 1. ... f6 2. ლc3+ მფa4 3. ლa3× 1. ... f5 2. ლ:c5+ მფa4 3. ლa3×. 1. ... ეg3 2. ლb8+ მფ ო 3. ეa7×. 1. ... მb3 2. ეb7+ მფa2 3. კc4×. 1. ... მფa5 2. ეa1+ მფb6 3. ეa6×.

12. 1. მe1! მფ:c1 2. ლa3+ მფ:d2 3. ლe3×; 1. ... ე:d2 2. ლa2+ მფc3 3. ლa1×; 1. ... c4 2. ლa3+ მფ:a3 3. მ:c4×. 1. ... მფc3 2. ლa3+ მფd4 3. ლ:c5×

№ 13. 1. ლa2 ო 2. ლa8+. 1. ... 2. ლh2 და 3. ლ:h8× ან 3. ლ:...

№ 14. 1. e3 კ:c3 2. ეa4! g1... 8f6+! კ:f6 4. ეg4+! ლ:g4—პ... 3. ... მფh8 4. ეg4 ლe3+ 5. მ... კ:f6 6. ეg8+ მფh7 7. ეg7+ კ... პატი.

№ 15. 1. c6 ლd5+ (1. ... ლ... 2. მფc2 ლe4+ 3. მფc3 მფ:a7 c7=) 2. მფc3 ლa5+ 3. მფb3! ... 4. ეb4! ლc7 5. ეa4+ მფb8 6. ე... მფc8 7. კb6 ლb8 8. კd4 ლa8 9. ... ლb8+ 10. ეb4 ლc7 11. კb6=.

№ 16. 1. კf5 კ:f5 2. ეh1+ კ... მფb6 c5 4. ეg1 c4, 5. ეd1 c3 6. ... c2 7. მფb5! b6 8. მფb4! b5 9. ... მფb2 10. მd3+ მფa1 11. მფb3 ... 12. ეg1 c1ლ 13. მ:c1 კc2+ 14. მ... b3+ 15. მ:b3×.

№ 17. 1. ეg6+ მფe7 (1. ... მფ... ეg8 f1ლ 3. ეe8+ და 4. ეf8+=... ეg7+ მფe8 3. ეg8+ მფf8 4. ... კg2 5. ეg4! f1ლ 6. ეf4+! ლ:... პატი.



გასული წლის უკანასკნელ დღეებში □ უმაღლეს ასწავლებელში მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა □ ბიბლიოთეკა გაკურიანში გაიკვალა სათხილამურო ბილიკი □ შეჯიბრების ტექნიკური შედეგი სპორტსმენთა დისციპლინასა და კულტურაზეა დამოკიდებული

იმრავლოს თქვენმა რიგებმა!

შეჯიბრება ჩატარდა წლის ბოლო დღეებში, 29, 30, 31 დეკემბერს თბილისის ლენინის ბაღის დარბაზში. გაბედულისათვის დანიშნა იყო ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკის კომიტეტის სპეციალური ჯილდო.

ელების თანახმად შეჯიბრებაში მონაწილეობის ბა ჰქონდათ მხოლოდ იმ ტანმოვარჯიშეებს, ებიც ოსტატთა პროგრამით იყვნენ მომზადეული, ასეთთა რიცხვი ამ შეჯიბრებაში 28-ს აღ

და ითქვას, რომ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები უთრებული გულმოდგინებითა და მონდომებით მობდნენ ახალი წლის წინა დღეებში. ნათი სობა კარგა ხანია შეჯიბრებებში ოსტატთა რამით გამოდიოდა, მაგრამ ცალკეულ იარაღებზე დ შესრულებული ვარჯიშების გამო ვერ აგრო საჭირო ქულებს.

აი, საახალწლო დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ტის ოსტატთა რიგები ახალი სახელებით შეევდნომნულ საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში 9 მოვარჯიშემ დააგროვა სპორტის ოსტატის წოსათვის საჭირო ქულები.

ებულად მოემზადა აღნიშნული შეჯიბრებისათბერთვესტნიცელი ზ. ტვეტაძე. იგი თანაბარი სიით, ურაღლებით ასრულებდა ვარჯიშებს ყოიარაღზე და საერთო ჯამში გამოვიდა პირველ ზე. მან მოიპოვა აბტური პირველი ადდა დააგროვა 110,1 . ასევე თანაბარი სიძით ვარჯიშობდა სსრ შრის ექსპრემპიონე ღუვარჯიშში ქუთაისე ჩხენიანი. სპორტის ულთ ახსოვთ, თუ

როგორ მოიპოვა აკაშირო ჩემპიონობა ჩაჩხიანმა, მაგრამ მაშინ მან შეასრულა ქულათა მხოლოდ ჩათელითი რაოდენობა. ახლა კი დააგროვა ოსტატის ნორმით გათვალისწინებული ქულებიც — 109,3. „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ა. ნარიმანოვი 108,7 ქულით საერთო წესამე ადგილზე გამოვიდა. მომდევნო ადგილები დაიკავეს პ. მელკოვმა, (თბილისის ოფიცერთა სახლი), ი. გარანკინმა („ბურევესტნიკი“) და ზ. გაგოშიძემ („ბურევესტნიკი“), რომლებმაც აგრეთვე დააგროვეს ოსტატობისათვის საჭირო ქულები.

ცალკეულ იარაღებზე პირველი ადგილები დაიკავეს ნარიმანოვმა (ტაიჭი), მელკოვმა (ბუკენითი ჯტომები), გვეტაძემ (თავისუფალი ვარჯიში და რგოლები) და ჩაჩხიანმა (ორძელი და ღერძი).

ქალთა შორის კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა ტ. კომისარენკო (სპორტსკოლა), რომელმაც გარდა საერთო პირველი ადგილისა (84,2 ქულა), პირველი ადგილები დაიკავა ყველა ცალკეულ იარაღზეც. მეორე ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა თბილისელ ვ. კლიმოვასა და ქუთაისელ მ. ცნობილაძეს შორის. საბოლოოდ კლიმოვამ დააგროვა 83 ქულა, ხოლო ცნობილაძემ — 82,5.

გ. კოგანიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სურათზე: მარცხნიდან — ზ. გვეტაძე, შ. ჩაჩხიანი, პ. მელკოვი, ა. ნარიმანოვი, ზ. გაგოშიძე, ი. გარანკინი. ქვევით — მ. ცნობილაძე და ვ. კლიმოვა.

შეჯიბრება, რომელსაც მრავალი ნაკლოვანება ახასიათებდა

ხშირად ერთ, არც თუ ისე დიდი მასშტაბის შეჯიბრებას შეუძლია ნათელი წარმოდგენა მოგვცეს სპორტის საბჭოების მდგომარეობაზე. ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში დამთავრდა ფრენბურთელთა გუნდების ტურნირი კონსტიტუციის სახელობის თასზე. მართალია, მასში მხოლოდ დედაქალაქის კოლექტივები მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. თბილისში ხომ თავმოყრილია ფრენბურთის საუკეთესო ძალები?

ტურნირმა ბევრი უარყოფითი მხარე გამოავლინა, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს იყო სპორტსმენთა უკიდურესი უდისციპლინობა. სამწუხაროა რომდესაც წესრიგის დამრღვევთა როლში გამოდიან ჩვენი ფრენბურთის ცნობილი ოსტატები ტარახჩიანი და ყიფიანი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. განათლების განყოფილების და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდების შეხვედრისას ეს ორი სპორტსმენი დაუსრულებლად გაკამათებდა მსაჯს. ხოლო, როდესაც დამთავრდა ერთ-ერთი პარტია, დაიმუქრნენ კიდეც მას. რა მაგალითი უნდა მისცენ ამ სპორტსმენებმა ახალგაზრდებს?

ტარახჩიანმა და ყიფიანმა ისარგებლეს ახალგაზრდა მსაჯის სანთელძის გამოუცდელობით, რომელმაც, მართალია შეხვედრა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა, მაგრამ გამოიჩინა ერთგვარი ლიბერალობა წესრიგის დამრღვევთა მიმართ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბევრი კვალიფიციური მსაჯი თავს არიდებს „ასეთ უმნიშვნელო“ შეჯიბრებებზე გამოსვლას. არასწორია შეჯიბრების მთავარ მსაჯად მოწვეული გუნდის მწვრთნელის დანიშვნაც. ზოგ შემთხვევაში ასეთი მთავარი მსაჯი ვერ იჩენს საჭირო სიმკაცრეს და ობიექტურობას.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევახსენოთ მწვრთნელებსაც, რომ თამაშის პროცესში დაუსრულებელ შენიშვნებს, ჩიჩვა-დარიგებებსა და წამოძახილებს წონასწორობიდან გამოუყავს გუნდი. ეს განსაკუთრებით უნდა მიეღოს მხედველობაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდის მწვრთნელმა ე. ანტონოვამ.

ფრენბურთის რესპუბლიკური სექციის თავჯდომარე საკავშირო კატეგორიის მსაჯი ე. ანტონოვი განათლების განყოფილებისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში ხშირად გამოთქვამდა აღშფოთებას, ძლევდა შენიშვნებს სპორტსმენებს და ამით ორივე გუნდის წევრებში ნერვიულობას იწვევდა, მით უმეტეს, ანტონოვი არც ერთი კოლექტივის არც მწვრთნელი და არც წარმომადგენელი არ იყო. ბრძოლა შეჯიბრების ჩატარების მაღალი კულტურისათვის არ არის უბრალო საქმე. მასზე დიდადაა დამოკიდებული საერთოდ სპორტის შემდგომი განვითარება.

როგორ წარიმართა თვით შეჯიბრება? ვაჟთა გუნდებში ნახევარფინალში გასვლას უფლება მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ვანათლების განყოფილების, პოლიტექნიკური და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების გუნდებმა. განათლების განყოფილების ახალგაზრდულმა კოლექტივმა ორ პარტიაში დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრენბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში (2:1)—პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ორი თაობის წარმომადგენლები. ნორჩ ფრენბურთელთა წინააღმდეგ მოედანზე გამოვიდნენ მრავალ საკავშირო შეჯიბრებებში გამობრძმედილი სპორტსმენები: ტარახჩიანი, ყიფიანი, ჩომონინი და სხვ ახალგაზრდებმა მაყურებელს გააზრებულა, კომბინაციური თამაში აჩუქეს და ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 3:2. (ფინალური შეხვედრები წინასწარი თამაშებისაგან განსხვავებით ხუთი პარტიისაგან შედგებოდა)

არანაკლებ საინტერესო იყო ქალთა გუნდების ტურნირი. მას შემდეგ, რაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა დაამარცხეს განათლების განყოფილების წარმომადგენლები, ბრძოლა საბოლოო თაისათვის ფაქტიურად დამთავრდა. უნდა ითქვას, რომ მომავალმა ინჟინრებმა, მართალია, გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა ძალების უკიდურესი დაძაბვით.

მეორე ფინალისტი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც მესამე გადამწყვეტ პარტიაში დაამარცხა „ლოკომოტივი“. პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელთა ფინალში ოგრძნობოდა პირველის უპირატესობა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიგეს მხოლოდ ერთი პარტია და შეხვედრა წააგეს ანგარიშით 1:3

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გასული წლის 28 დეკემბერს ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა განიხილა ამ შეჯიბრების შედეგები. სპორტის ოსტატებს ს. ტარახჩიანს და თ. ყიფიანს მიეცათ ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია.

შეჯიბრების მთავარ მსაჯს შ. მარგიშვილს შეჯიბრების ცუდი ორგანიზაციისათვის მიეთითა. მიეთითა აგრეთვე თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდის წარმომადგენელს ო. ჭიჭინაძეს მსაჯთა კოლეგიაში დაუსაბუთებელი პროტესტის შეტანისათვის.

სლალომის ტრასაზე, ტრამპლინიდან

გაკურიანში გასულ წელთან შედარებით წელს გაცილებით უკეთესი პირობებია ზამთრის სპორტულ ღონისძიებათა ჩასატარებლად. ადრე მოსული თოვლი, ამით ისარგებლეს ბორჯომის ფიზკულტურულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ჩაატარეს სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი სააფინო პირველობა.

შეჯიბრების პროგრამაში იყო რბენა ქალებისათვის 3 და ვაჟებისათვის 10 კილომეტრიან დისტანციაზე, სლალომი და 40 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. პირველ დღეს ბორჯომში ჩაება 50 სპორტსმენი.

სლალომში ვაჟთა შორის პირველი დაიკავა ი. ჯანგობეგოვმა, სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი სოფლის ახალგაზრდებს შორის პ. კოზანაშვილი მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილი მიეკუთვნა ვ. კოპტონაშვილს.

ვაჟთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში პირველობა წილად ხვდა ჯ. კოზანაშვილს. მეორე ადგილზეა — ნ. გაცა, მესამეზე — გ. ჯეირანაშვილი.

ქალთა შორის 3 კილომეტრიან დისტანციაზე პირველი ადგილისათვის 10 კილომეტრიან დისტანციაზე სათავეში ჩაუდგა ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. გოგოლაძე და ფინიშთანაც პირველი მივიდა. მეორე და მესამე ადგილზე გამოვიდნენ მისი თანასკოლელები ი. მოვსესოვა და ქ. ჯეირანაშვილი.

40 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ა. მიქაბერიძემ. ს. ოგანეზოვმა დაიკავა მეორე ადგილი, მესამეზეა — სპორტსკოლის წარმომადგენელი პ. ჩუბკო.

მონაწილეთა დიდმა ნაწილმა შეასრულა სათანადო ნორმატივი.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებას ახასიათებდა ნაკლოვანი მხარეებიც. მცირე იყო მონაწილე ქალთა რაიცხვი. შეჯიბრებაზე მთლიანად დაკომპლექტებული გუნდი გამოიყვანა მხოლოდ ბაკურიანმა.

მ. გელაშვილი

საქალაქო აქტივის კრებაზე

ბას წინათ თბილისში გაიმართა ქალაქის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელსაც სწინა ფიზკულტურისა და სპორთბილისის კომიტეტის თავმჯომარის გ. რცხილაძის მოხსენებდედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში მასობრივ-სპორტული მუშაობის ვანვითარების შესახებ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებმა მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში. ყოფილმა მუშაობამ თბილისის სტადიონს საშუალება მისცა გადაეწყობით შეესრულებინა ნიშნოსნების და თანრიგოსნების მომზადების მუშაობა. მშთ I საფეხურზე 3.458 ფიზკულტურელის ნაცვლად მომზადდა — 4.322 მშთ II საფეხურზე მომზადდა 22,91 პროცენტით მეტი სპორტსმენი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ ბევრ ძირეულ კოლექტივში ჯერ კიდევ არასათანადო ადგილებზე დგას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობა.

ნაკლებად მუშაობს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრა. შარშან 70 სტუდენტს III თანრიგი მიაკუთვნეს წყალში ხტომაში. მაშინ, როცა სპორტსმენთა უმეტესობამ ცურვაც კი არ იცოდა. ინსტიტუტის სპორტული კლუბი სათანადო ყურადღებას არ უთმობს სპორტსმენთა შორის პოლიტმასობრივ მუშაობას. ადგილი აქვს ლექციების გაცდენას. ანალოგიური მდგომარეობაა სახელმწიფო უნივერსიტეტში. I და II კურსის 2.020 სტუდენტიდან სპორტს არ მისდევს 24,4 პროცენტი.

დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებს შორის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ყველაზე ძლიერ კოლექტივად ითვლება, მაგრამ ნაკლოვანებებს მის მუშაობაშიც ვხვდებით. ვანსაკუთრებით თანრიგოსანთა მომზადებაში.

ასეთივე მდგომარეობაა ზოოვეტერინალურ და სამედიცინო ინსტიტუტებში. გასულ წელს ამ კოლექტივების არც ერთ სტუდენტ-სპორტსმენს მონაწილეობა არ მიუღია მძლეოსანთა, ცელოსიპედისტთა და მოკრივეთა საქალაქო პირველობებზე. მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა აგრეთვე პედაგოგიური და უცხო ენების ინსტიტუტების, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და მიუთითა, რომ ამ კოლექტივებში არასათანადოდ იბრძვიან რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადების შესახვედრად.

კამათში გამოსულმა ო. თენეიშვილმა (კომკავშირის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი), მ. ცხვედაძემ (ავროფის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ი. ნიკოლაიშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ლ. ყანჩაველმა (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). რ. თუშიშვილმა (ლენინის სახელობის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი) თ. ზახაშვილმა (საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე), შ. ჯალაღანიძემ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და სხვებმა იღაპარაკეს სტუდენტ-ფიზკულტურელთა აკადემიურ მოსწრებაზე, მათ შორის პოლიტმასობრივი მუშაობის დონეზე, საექიმო-ფიზკულტურულ მომსახურებაზე. ვაკრიტიკეს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკის საბჭო.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი თ. ბადურაშვილი, რომელმაც მიუთითა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კათედრებისადმი კომკავშირული ორგანიზაციების სუსტ დახმარებაზე. ღონიშნა, რომ კომიტეტების ფიზკულტურული განყოფილებები სათანადოდ არ ზრუნავენ სასწავლებლებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის.

„ბურევესტნიკში“

„ბურევესტნიკის“ საჭიდაო კლუბში ჩატარდა საქალაქო საბჭოს გუნდური პირველობა ჭაღრაკში „ბ“ ჯგუფის ვუნდებს შორის. გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 კოლექტივი. პირველ ადგილებზე გამოვიდნენ და „ა“ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს „სოციალისტური პროექტისა“ და საქ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის გუნდებმა.

დ. როსტომაშვილი

მაღე ახმაურდება „თოვლიანი სტადიონის“ იარუსები

ევროპაში იყიდება სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელები

მასობრივი ღონისძიების პირველ ვერტიკალი

სურათებზე: ზევით მარცხნივ — ზამთრის ოლიმპიური თამაშების ემბლემა, სამახსოვრო მედალი. ქვევით — კორტინა დამპეცოს ცენტრალური სტადიონი.

კორტინა დამპეცო

26 იანვარს იტალიის საკურორტო ქალაქ კორტინა დამპეცოში საღღეისწულო ვითარებაში გაიხსნება ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები. მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ამ პატარა იტალიური ქალაქისაკენ, რომელიც სულ მალე საინტერესო და წარმტაცი სპორტული ბრძოლების სარბიელი გახდება.

კორტინა დამპეცო დოლომიტურ ალპებში მდებარეობს. იგი ზღვის დონიდან 1.224 მეტრის სიმაღლეზეა. უკეთეს კლიმატურ პირობებს სპორტსმენები ვერ ინატრებენ: იანვრის უყველაზე დაბალი ტემპერატურა დამპეცოში 6-7 გრადუსია ნულს ქვევით. ზამთრობს თვეები აქ ნათელია, მზიანი და უქარო. სამთო-სათხილამურო ტრასა მთელს ევროპაში საუკეთესოა.

დამპეცოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 35 ქვეყნის გუნდი. შეჯიბრების ცენტრი ოლიმპიური სტადიონი იქნება, რომელიც გაშენებულია ქალაქის შუაგულში. ეს არის დახურული სტადიონი ჰოკეის ორი მოედნით და ტრიბუნებით 12 ათასი მაყურებლისათვის.

მოცეკვურეთა ბრძოლის არენა იქნება მიზურინის ტბა, რომელსაც დოლომიტების „მარგალიტებს“ უწოდებენ. სპეციალისტების აზრით აქ ნაჩვენები უნდა იყოს საუკეთესო შედეგები, რადგან სპორტსმენებს ქარი ხელს ოდნავადაც არ შეუშლის. ყინულოვანი ბილიკის ერთადერთი ნაკლი ის არის რომ იგი ზღვის დონიდან 1.755 მეტრის სიმაღლეზეა და გაიშვიათებული ჰაერი საკმაოდ იგრძნობა.

სათხილამურო რბენები მოეწყობა კამპოს ველზე, სწორედ იქ, სადაც გაშენებულია თვით ქალაქი. მოთხილამურეთა შეჯიბრების პროგრამაში შედის ვაჟებისათვის რბენა 15, 30 და 50 კილომეტრზე, ქალებისათვის კი—10 კილომეტრზე. აგრეთვე ამანათრბენები.

საიდან უნდა ადევნოს თვალი მაყურებელმა ამ საინტერესო შეჯიბრებას? რასაკვირველია გულშემატკივართა ნაწილი ადგილს დაიკავებს თვით ტრასის გასწვრივ, მაგრამ შეჯიბრების სტარტის და ფინიშის დანახვა შესაძლებელი იქნება „თოვლიანი სტადიონის“ ვეებერთელა ტრიბუნებიდან, რომელიც 10 ათას მაყურებელზეა ნაანგარიშები. ტურისტებს ამ ადგილიდან შეეძლებათ რბოლის სტარტისა და ფინიშის ნახვა, ხოლო ბრძოლის მსვლელობას მათ შეატყობინებს ვეებერთელა ეკრანი (34×15-მეტრიანი), რომელზედაც გამუდმებით იქნება სულ ახლო და ახლო ელექტროწარწერები.

კორტინა დამპეცოდან ორი კილომეტრის დაშორებით გაშენებულია რკინაბეტონის ტრამპლინი „იტალია“, რომელზედაც შეიძლება 80 მეტრამდე ნახტომის შესრულება.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები.



რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

თელავი

პიონერთა სახლში 15 დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ჭადრაკში მოსწავლე ქალთა შორის.

ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდა I-II-III-IV და რუსული საშუალო სკოლების 12 მოსწავლე.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა თელავის IV საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ლ. დვალმა, II ადგილზე გამოვიდა ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლე ლ. მაისურაძე, ხოლო III ადგილი წილად ხვდა—გათამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს — მე-4 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეს თ. ხუგაშვილს.

* * *

ჩატარდა შეჯიბრება მცირეკალიბრიან შაშხანიდან სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა 30 მოსწავლე. საუკეთესო შედეგი ჰქონდა X კლასის მოსწავლეს ს. ჯაფარიძეს, რომელმაც 5 ვაზნით 42 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრებამ გამოავლინა საუკეთესო მსროლელები: მ. ტყავაძე, ფ. მრელაშვილი, გ. ხათიაშვილი, ლ. მალიანცი, თ. ონიკაშვილი, ი. ბაქრაძე, ქ. სამადაშვილი, თ. მეზვრიშვილი, ა. ფირანიშვილი და სხვები, რომლებმაც 5-5 ვაზნით 38-38 ქულა მოაგროვეს და ჩაბარეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ I საფეხურს ნორმატივი.

მ. ოკროდაშვილი

ოჩამჩირე

ოჩამჩირეში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა. აქ მაყურებელთათვის კეთდება დასაჯდომები, მოეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები.

სტადიონის მშენებლობა, რომელზედაც 100 ათასი მანეთი დაიხარჯება, მომავალი წლის გაზაფხულისათვის დამთავრდება.

ვ. დოლნაძე

გურჯაანი

სპორტულ მოედნებზე ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის საშუალო და 8-წლიანი სკოლების მოსწავლე სპორტსმენები.

ასპარეზობაში კარგი შედეგები გამოავლინეს მოსწავლეებმა ო. კაკაურიძემ (შაშიანის სკოლა), ა. ზარნაძემ (ქ. გურჯაანის სკოლა), ც. ქუთელაშვილმა (ყიტაანის 8-წლიანი სკოლა), ნ. ნადირაძემ (ახაშენის სკოლა) და სხვებმა.

ი. ოდიშელიძე

ფეხბურთი სამხრეთ ამერიკაში

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი საკმაოდ ცნობილია მსოფლიოში. მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ურუგვაის, ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებმა თამაშის მაღალი კლასი და ვირტუოზული ინდივიდუალური ტექნიკა აჩვენეს ევროპისა და ახლა ალმოსავლეთის ქვეყნებს.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის სკოლას აქვს თავისი განსაკუთრებული თავისებურებანი, რაც ინდივიდუალიზმით, ეფექტური დარტყმებითა და ათასგვარი ტრიუკებით ხასიათდება. ურუგვაის პირველობაზე 1954 წელს ერთ-ერთმა თავდაბსხმელმა მიგეყსა მეკარის მოედნიდან მოწინააღმდეგის კარამდე ბურთი დრიბლინგით მიიტანა. რიო-დე-ჟანეიროს ტურნირში „ფლიუმინენსის“ თავდამსხმელმა დიდიმ მოედნის ცენტრში ბურთი თავით მიიღო, სირბილში მან იგი თორმეტგზერ აიგდო და შევიდა კარის ზონაში. დიდი ალბათ მეცამეტე დარტყმას გოლით დაამთავრებდა, რომ არ წაეკცათ და 11-მეტრიანი ჯარიმა არ დანიშნულიყო, — წერენ ბრაზილიის გაზეთები.

სამხრეთ ამერიკის პროფესიონალებს დიდი ფასი აქვთ იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში. მათ ხშირად ვხვდებით ამ უცხოეთის კლუბების და ნაკრებ გუნდებში. ასე, მაგალითად, ურუგვაელი სკაფინო და ბრაზილიელი ჯულინო იტალიის კლუბებში გამოდიან, მეორე ბრაზილიელი ამალფი— საფრანგეთის „რესინგში“ თამაშობს და ა. შ.

საუკეთესოსი კონტინენტზე

იტალიის „გაზეტა დელო სპორტი“ სამხრეთ ამერიკაში, არგენტინის სკოლას თვლის საუკეთესოდ, რომელიც დღეისათვის ნაკლები ეფექტით და მეტი შედეგიანობით გამოირჩევა, ვიდრე სხვა დანარჩენები.

არგენტინის პირველობა სამ ჯგუფად ტარდება. პირველში შედიან „ა“ კლასის (16 გუნდი), „ბ“ კლასისა (18 გუნდი) და პროფესიონალური კლუბები. გასულ წელს ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბოკა ჟუნიორსმა“ (ბუენოს-აირესი). გასულ სეზონში არგენტინის ჩემპიონმა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. მან (3:0) მოუგო ურუგვაის „ნასიონალს“. ამ ქვეყნის მეორე გუნდმა „რადიოპენდიენტემ“ დაამარცხა ურუგვაის ჩემპიონი — 3:1 და ჩილის გუნდი „კოლო კოლო“ — 2:0.

ბრაზილიის ჩემპიონატი

როგორ ტარდება ბრაზილიაში ჩემპიონატი? აი, ერთი მაგალითი რიო-დე-ჟანეირო-სან-პაულოს შეხვედრის მაგალითზე. მატჩი მოეწყო რიო-დე-ჟანეიროს უდიდეს სტადიონზე, რომელიც 120 ათასს ყურებელს იტევს.

პირველი ნახევარი აღინიშნა ტერესო ბრძოლით. გუნდები ნებაზე წავიდნენ ანგარიშით მეორე ტაიმის დასაწყისში სლოს ფეხბურთელებმა კიდევ ბურთი გაიტანეს. მასპინძლ ყურებელთა შეძახილების წუთის შეუპოვრად უტევდნენ ნამდვილს და პოლოს გაქვეგარიშე.

სტადიონზე რაღაც არაჩვრივი, წარმოუდგენელი ხდებდროს. გულშემატკივართა ისეთი ძლიერი იყო, რომ ვერების სროლის ხმა ტრიბარც კი ისმოდა.

ადმინისტრაციის მოთხოვნყურებელთა მოსალოდნელი ბების თავიდან ასაცილებლად დიონზე გამოძახებულ იქნა ვანეიროს მთელი პოლიცია.

...სან-პაულოს გუნდი შეუტევდა. ერთ-ერთი იერიშის სან-პაულოს ცენტრალურმა დამსჯმელმა ძნელი მდგომარტაიტანა გადამწყვეტი ბურთი ამ ამბავმა დააელექტრონა რებელი. ყველაზე ექსპანგულშემატკივრებმა დაამრკინის ღობე და გადავიდნენდანზე. ვერაფერმა ვერ შეძლბის დამშვიდება. ვერც პოვერც ცრემლმდინარე ყუმბარვერც წყალით სავსე ორმოებმა

გადამწყვეტი მატჩი

კონტინენტის ფეხბურთელობაზე საპასუხისგებლო შება სამხრეთ ამერიკის ქვჩემპიონატია, რომელიც პი1916 წელს გათამაშდა. მას ლათინურ ამერიკის ქვეყნებჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. პირველ ადგილზე არგენტინიყვნენ, მე-ჯერ ურუგვაელები.

უკანასკნელ XVIII ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს არგენტინურუგვაის, პერუს, პარაგვაის, ბოლივიის და ეკვადორის გუნდებმა. პირველ ადგილს ბედი უნდა გადაუწყარგენტინა-ჩილის შეხვედრას. სტადიონზე, რომელიც 40 ათას მაყურებელზეა ნაანგარიშები, მატჩზე დასწრების მსურველთა მეოთხედიც კი ვერ დაიტია. მაყურებელთა ყველაზე ავრესიულმა ნაწილმა, რომელმაც ვერ იმოვნა ბილეთები, დაამტვრია ცენტრალური კარები და 20-ათასიანი ბრბოა კარებისაკენ. გაზეთებიც ცნობენ, გარღვევის შედეგად 15 კაცი დაშავდა, 40 კი მძიმედ დაიჭრა.

მატჩი მოიგეს არგენტინელებმა 1:0. ერთადერთი ბურთი ჩაკარში გაიტანა არგენტინის მარცხენა ნახევარმა მიჩელიმ. შეხვედრების შემდეგ ხალხი გაიფანტა მოედანზე. გარშემო გამარჯვებულ მოთამაშეებს, შემოხვიეს მაისურები და თავღუს, როგორც ძვირფასი ნიშნები მარჯვების მოსავონებლად.

სტუდენტთა სპარტაკიადა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაში პოპულარული გახდა ტრადიციული სპარტაკიადა. ამჟამად ინსტიტუტის ბაზებზე მიმდინარეობს მეხუთე სპარტაკიადა, რომლის მრავალფეროვანი პროგრამა გათვალისწინებულია მთელი სასწავლო წლისათვის. უკვე დამთავრდა შეჯიბრების პირველი ეტაპი. სპარტაკიადაში წარმატებით გამოდიან სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სპორტსმენები.

ფეხბურთში კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს მეტალურგიის, ქიმიის ტექნოლოგიისა და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტების კოლექტივებმა. მეტალურგებმა ფინალურ შეხვედრაში ქიმიკოსებთან მოიპოვეს გადამწყვეტი ქულა და პირველ ადგილზე ვამოვიდნენ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სამთო გეოლოგებმა, ხოლო მესამეზე — ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტები. სამაგიეროდ სამთოელებმა პირველობა არავის დაუთმეს ფრენბურთში. კლასიკურ ჭიდაობაში 84 შეხვედრიდან 74 სუფთა გამარჯვებით დამთავრდა, პირველი ადგილი აქაც სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს ერგოთ. ენერგეტიკოსები და მექანიკოსები მეორე და მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ძალოსანთა შეჯიბრებაში ყველაზე ძლიერი ვუნდი გამოიყვანა სამთო-გეოლოგიურმა ფაკულტეტმა, რომელმაც პირველობა გაიმარდა. მეტალურგები და ქიმიკოსები გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილებზე.

დაბალ დონეზე ჩატარდა შეჯიბრება ტანვარჯიშში. ასპარეზობის 58 მონაწილიდან მხოლოდ 15 იყო ქალი. ოსტატის პროგრამით გამოდიოდა 7 სპორტსმენი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა ოსტატის ნორმა. დაბალი იყო თ გოსანთა მოსმზადებაც. საერთო ველობა მიეკუთვნა მექანიკის კულტეტს. მეორე ადგილზე გა და სამთო, მესამეზე — საამ ლო ფაკულტეტი.

საჭიროა ფიზკულტურის კრამ, დეკანატებმა და ფაკულტეტ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ითვალისწინონ პირველი ეტაპის დომები და უფრო ორგანიზებ ჩატარონ სპარტაკიადის მეორე პი.

გ. ფანჯაკ

რედაქტორი ი. უგულავ

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ-მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

ჰელიოგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.